



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 15

27/05/2020

**ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების  
ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2019 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N40 48 განკარგულება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე



საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

უძრავი ქონება

#	დასახელება	მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი	ფართი (კვ.მ)
1	ქ.ხონი, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა N31, არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N01	37.07.38.307	449.0 შენობა-ნაგებობა N01, განაშენიანების ფართი - 125.0, საერთო ფართი - 194.60
2	ქ.ხონი, ჭავჭავაძის ქუჩა N3-ის მიმდებარედ მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.839	25.0
3	ქ.ხონი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.788	3539.0
4	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ჯიხაიში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობანაგებობა N1 (კლუბი)	37.10.36.053	1203.0 შენობა-ნაგებობა N1
5	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძეძილეთი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობანაგებობა N1	37.03.32.001	453.0 შენობა-ნაგებობა N1 განაშენიანების ფართი - 280.0
6	ქ.ხონი, მოსე ხონელის ქ. N54 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობანაგებობა N1	37.07.44.306	3000.0 შენობა-ნაგებობა N1-2561.16
7	ქ.ხონი, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობანაგებობები N01/1; N02/1; N03/1;	37.07.38.003	2649.0 შენობა-ნაგებობები N01/1; N02/1; N03/1

მომრავი ქონება

N	დასახელება	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი
1.	ავტომობილი FORD MAVERICK	XON 777	1994